პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ივლისი სამშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან   № 166 (15683)

დღეს მოსკოვში მუშაობას შეუდგება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

16 ივლისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ნ. ვ. პოდგორნი.

პრეზიდიუმმა განიხილა საკითხები, რომლებიც უკავშირდება სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის (რომელიც 17 ივლისს იხსნება) მუშაობის დღის წესრიგსა და წესს, და მათ გამო მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი. თავისი წინადადებანი პრეზიდიუმმა გადასცა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს. ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს მ. პ. გიორგაძეს დაევალა მოახსენოს უმაღლეს საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შემდეგ მიღებული პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლთა პროექტის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შემოიტანა. როგორც ცნობილია, ეს კანონპროექტი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახალხო განათლების სრულყოფის საქმეს და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის აპრილში გამოქვეყნდა ცენტრალურ და რესპუბლიკურ გაზეთებში საზოგადოებრივი განსახილველად. საფუძვლთა პროექტი დასკვნისათვის გადაეცა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიებს, საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებსა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებს.

კომისიებმა მოახსენეს პრეზიდიუმს, რომ გამოქვეყნებულ საფუძვლთა პროექტს საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა, და მან მშრომელთა ფართო ინტერესი და მრავალი გამოხმაურება გამოიწვია. პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სასწავლებელთა, დაწესებულებათა და საწარმოთა კოლექტივებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საბჭოების დეპუტატებმა და ბევრმა მოქალაქემ.

პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო პალატების სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიათა თავმჯდომარეების ა. ე. ვოსისა და პ. ნ. ფედოსეევის ინფორმაცია, რომ საზოგადოებრიობის წინადადებათა საფუძველზე კომისიებმა მოამზადეს დასკვნა საფუძვლთა პროექტის გამო და პროექტის მთელი რიგი დამატებანი და შესწორებანი. ამ მუშაობის დროს გათვალისწინებულია წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც შემოვიდა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისაგან, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისაგან.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე პროექტი სსრ კავშირის კანონისა სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მთავრობამ შეიმუშავა და პრეზიდიუმმა გადასცა დასკვნისათვის პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებს. პრეზიდიუმმა ცნობად მიიღო კომისიათა თავმჯდომარეების ი. გ. კაპიტონოვისა და ი. გ. კებინის ინფორმაცია, რომ კომისიებმა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მონაწილეობით განიხილეს კანონპროექტს გამო შემოსული წინადადებანი და შენიშვნები, და მოამზადეს კომისიათა დასკვნები, რომლებიც შეიცავენ საჭირო დამატებებსა და შესწორებებს პროექტისათვის.

პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ხ. ნასრიდინოვა, სსრ კავშირის მინისტრები ვ. პ. ელიუტინი, მ. ა. პროკოფიევი, ვ. ი. ტერებილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. ბულგაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ლ. ნ. სმირნოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რ. ა. რუდენკო. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების სხდომა

16 ივლისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს უხუცესთა საბჭოების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ.

ინფორმაცია ამ საკითხებზე გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. შიტიკოვმა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ხ. ნასრიდინოვა. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

16 ივლისს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიებმა სამუშაო გეგმების შესაბამისად მორიგი სხდომები გამართეს.

კომისიების წევრ დეპუტატთა განსახილველად წარდგენილია დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებასთან, პალატების კომისიათა საკონტროლო ფუნქციების შესრულებასთან, სსრ კავშირის კანონებისა და უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა რეალიზაციისადმი თვალყურის დევნებასთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირიდან, ვიეტნამელი ხალხისათვის უსაზღვროდ ახლობელი ქვეყნიდან, ვ. ი. ლენინისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამშობლოდან ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის გამგზავრების წინ, ჩვენ სულითა და გულით მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით, ყველა საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელს, აგრეთვე ყველა საბჭოთა დასა და ძმას, რომლებმაც ჩვენი დელეგაცია მიიღეს უაღრესად გულთბილად, გამოიჩინეს გულითადი მზრუნველობა და შექმნეს პირობები საბჭოთა კავშირში ჩვენი ოფიციალური, მეგობრული ვიზიტის წარმატებით დამთავრებისათვის.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ერთობლივ ბრძოლაში ნაწრთობი ჩვენი პარტიების, მთავრობებისა და ხალხების დიდი მეგობრობა და საბრძოლო სოლიდარობა მარადიული და ურღვევი იქნება.

ლე ზუანი,
ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი;

ფამ ვან დონგი,
ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი.

ა. ნ. კოსიგინი და კ. თ. კატუშევი მოსკოვს დაბრუნდნენ

16 ივლისს მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი და სხვა ოფიციალური პირნი, რომლებიც ლენინგრადში იყვნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ერთად. (საკდესი).

300.000 ტონა ყურძენი — სახელმწიფოს!

თქვენს ღვინოში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის ჯადოსნური ხასიათის სამი შესანიშნავი თვისება: სიმაგრე, სინაზე, სიმტკიცე.

მივესალმები ქართულ მიწას! — ეს სიტყვები ეკუთვნის ჩვენი დროის დიდ მწერალს მიხეილ შოლოხოვს. მას ეს სიტყვები ათქმევინეს ჩვენმა ვაზმა, მეზვრემ და მემარნემ, იმათ, ვინც ქართული მიწის მშვენების ამბავი შორს გაიტანა.

ვაზის სიყვარული ჩვენს მევენახეებს ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. მეცნიერისა და კაცის ეს სიყვარული საუკუნეების მანძილზე იწრთობოდა. ქართველი კაცი წელში რომ გაეტეხა, მომხდური ვენახს გაუკაფავდა ხოლმე, მაგრამ სცდებოდნენ, სულიერად და ფიზიკურად უდრეკი მევენახეები არასოდეს იმედს არ კარგავდნენ. პირიქით, ნავენახარზე ისევ ახარებდნენ ვაზს, რომელიც ოჯახის მარჩენალი და მეგობარი იყო და არის.

ამბობენ, ქართველი და ვაზი ამ ქვეყნად ერთად გაჩნდნენო. ვაზისა და ქართველი მევენახის ეს მეგობრობა დღეს უფრო ნათლად არის გამოკვეთილი. კოლექტიურმა შრომამ აალორძინა საქართველოს ზვრები.

უკანასკნელ ორ წელიწადს ხუსხიანი ზამთრის გამო დიდად დაზიანდა ვენახები; ამას ზედ დაერთო მიმდინარე წლის გაზაფხულზე მეორე სტიქიური მოვლენა — სეტყვა, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა კახეთის მევენახეობის წამყვან რაიონებს. მაგრამ სტიქიამაც ვერ დააჩაბუნა, გული ვერ გაუტეხა ქართველ მევენახეს. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გულითადი დახმარებით ზვრებში მდგომარეობა თანდათანობით გამოსწორდა. სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ მთელ რიგ რაიონებში ბევრი კარგი ღონისძიება განხორციელდა, რამაც ჩინებული ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ ამას წინათ ჩატარებულმა ვენახების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უაღრესად ნელა ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დალუპული და დაზიანებული ვენახების უსწრაფესი აღდგენა.

ვენახების დათვალიერებამ გამოავლინა, რომ საგარეჯოს, გორის, კასპის, ხაშურის, თეთრიწყაროს, მაიაკოვსკის, ამბროლაურის, ცაგერის, ჩოხატაურის რაიონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი ვენახების მოვლის საქმეში. ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩება საზოგადოებრივ ვენახებში საშუალოდ ერთ ჰექტარზე ყურძნის მოსავლიანობა საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებულ მოსავალს. ეს ძირითადად სიმეჩხრის ბრალია, მაგრამ ამის გარდა მოსავლიანობას ისიც ამცირებს, რომ ხშირად აგროვადების დარღვევით და მდარეხარისხოვნად სრულდება საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები ვადების დარღვევით ჩატარდა გურჯაანის რაიონის ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში.

ეს ნაკლოვანებანი რომ გამოსწორდეს, ამისათვის საჭიროა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ გამონახონ ყურძნის დამზადების გეგმის შესრულების რეზერვები. ამაში მათ დაეხმარება ამავე რაიონის ჩუმლაყისა და ზესტაფონის რაიონის კლდეეთის სასოფლო საბჭოების დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა.

ჩუმლაყელთა და კლდეეთელთა პატრიოტულ ინიციატივას, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ერთხმად დაუჭირეს მხარი მევენახეობის რაიონების სოფლის მშრომელებმა. საქართველოს სოფლის მშრომელები მათი მაგალითით ერთხმად აცხადებენ, რომ საკარმიდამო ვენახებში მიღებული ყურძნის 80 პროცენტს სახელმწიფოს მიჰყიდიან. ამით ისინი საპატიო წვლილს შეიტანენ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის შესრულების საქმეში, სახელმწიფოს მიჰყიდიან 300.000 ტონა ყურძენს.

საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აქედანვე დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მომავალი წლის სიუხვის შექმნას, წინა წლების სავალალო შედეგებიდან ჯეროვანი დასკვნები გააკეთონ, რომ აღარ გამეორდეს ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ სამუშაოს უხარისხოდ, აგროვადების დარღვევით აწარმოებდნენ.

ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნამყენი ვაზის ნერგის გამოყვანას. შარშან ნამყენი ნერგების გამოსავლიანობამ კოლმეურნეობებში 24 პროცენტი შეადგინა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და სახელმწიფო სანერგე მეურნეობებში — 33.6 პროცენტი. ამასთან ნერგების საკმაო ნაწილი ზოგჯერ უხარისხოა და სწორედ ამიტომ დარგვიდან პირველ წელსვე ახალშენ ვენახებში სიმეჩხრის პროცენტი საგრძნობლად დიდია.

სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლის შენელება დანაშაულია. დანაშაული იმიტომ, რომ მეჩხერ ვენახებში არა მარტო მოსავალია მცირე, არამედ გაწეული შრომა ფუჭია და პროდუქციაც ძვირია. ვერაფრით ვერ გაიმართლებენ თავს თელავის რაიონის აკურის, რუისპირისა და გულგულის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები. წელს აკურელებმა 70.000-ის ნაცვლად ვენახებში გამორგეს მხოლოდ 2.900 ძირი ვაზი, რუისპირის კოლმეურნეობამ 30.000-ის მაგიერ — 3.000 ძირი, ხოლო გულგულის კოლმეურნეობამ 60.000-ის ნაცვლად — 8.500.

წლითიწლობით ყურძნის დაბალ მოსავალს იღებენ თერჯოლის რაიონის ზოგიერთი საზოგადოებრივი მეურნეობანი. სიმონეთის, ნახშირღელის, ძევრის კოლმეურნეობებმა შარშან ჰექტარზე საშუალოდ 15-22 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. ქვედა სიმონეთის კოლმეურნეობამ ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება 23 მანეთით გაადიდა და 17.800 მანეთი იზარალა. საგანგაშოა, რომ სიმონეთელები წელსაც არ გრძნობენ პასუხისმგებლობას. აქაური 66 კომუნისტი და მათი ოჯახის წევრები კოლმეურნეობის 95 ჰექტარი ვენახიდან მხოლოდ 9,16 ჰექტარს ამუშავებენ.

ახლა, როცა ამინდი ასეთი ცვალებადია, ცხადია, ვენახებში აგროწესების დაცვით სამუშაოების ჩატარება ძნელდება, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ზვრებს ხელი დავაკლოთ. სწორედ ახლა არის საჭირო ყოველმა მევენახემ გამოიჩინოს საზრიანობა, მოხერხებულობა, ყოველი ხელსაყრელი წუთი გამოიყენონ იმისათვის, რომ ვაზს არ გაუჭირდეს; არ უნდა დავუშვათ, რომ ვენახებში გაჩნდეს რაიმე დაავადება, რაც ასეთ ცვალებად ამინდს ხშირად თან სდევს. ჩვენს ხელთ არის მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება. კარგი მევენახე ის არის, კარგ სპეციალისტად ის ითვლება, ვინც ამ სიკეთეს დროულად გამოიყენებს თავის საქმიანობაში.

ახლა ჩვენი მევენახეები, როგორც არასდროს, გრძნობენ საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების დროულ დახმარებას, მზრუნველობას. იმედია, ამას ისინი გაორკეცებული შრომით უპასუხებენ და საზოგადოებრივ ზვრებს სიყვარულით, საქმის ცოდნით მოუვლიან, ყველაფერს იღონებენ, რომ წელს გეგმა უთუოდ შესრულდეს და სახელმწიფო მარნებში 300.000 ტონა ყურძენი მიიტანონ.

მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ფართოდ დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ კლდეეთისა და ჩუმლაყის სასოფლო საბჭოების მევენახეთა პატრიოტული ინიციატივა, ყოველნაირად წაახალისონ სოფლის ის მშრომელები, რომლებიც სახელმწიფოს მაქსიმალური რაოდენობით მიჰყიდიან საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებულ ყურძენს, მოაწყონ ამ მხრივ სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს შორის სოცშეჯიბრება.

ვისაც ჩვენი ზვრები უყვარს, ვისაც უნდა ასახელოს თავისი სოფელი, რაიონი, საქართველო, ის მთელი ენერგიით იშრომებს, ზრუნვას არ მოაკლებს ვაზს და უთუოდ მიაღწევს გამარჯვებას.

ჩვენო სახელოვანო მევენახეებო! სასახელო შრომით ერთხელ კიდევ ვადიდოთ ვაზი — ქართული მიწის მშვენება და დიდება. სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულოთ!

ხუთწლედი — ვადამდე!

120.000 ტონა მარცვლეულისათვის

სწრაფად, უდანაკარგოდ!

„კომუნისტის" ვიმპელი კომბაინებზე

ახმეტა. ოჟიოს საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა სპირიდონ ნახუცრიშვილმა, რომელიც ეჯიბრება თავის ძმას ბესარიონ ნახუცრიშვილს, პურეულის მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე და გალეწა 351 ცენტნერი მარცვალი. მან „კომუნისტის" ვიმპელი ზედიზედ მესამეჯერ მოიპოვა და მუდმივად მას დარჩა.

გურჯაანი. სოფელ არაშენდას კოლმეურნეობის კომბაინერმა ჰამლეტ ჰაჭვიანიშვილმა, რომელიც ეჯიბრება თანასოფლელ გიგა მამისაშვილს, პურეული მომკა 10 ჰექტარზე და გალეწა 330 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის" ვიმპელი მას გადაეცა.

თელავი. იყალთოს კოლმეურნეობის კომბაინერმა შალვა ხადონაშვილმა, რომელიც თანასოფლელ ირაკლი გიგოლაშვილს ეჯიბრება, პურეულის მოსავალი აიღო 13,3 ჰექტარზე და გალეწა 389,5 ცენტნერი მარცვალი. იგი „კომუნისტის" ვიმპელის მფლობელი გახდა.

ყვარელი. შილდის კოლმეურნეობის კომბაინერმა ბუღდან მირიანაშვილმა, რომელიც ეჯიბრება შოთა ომიაძეს, პურეული მომკა 16 ჰექტარზე და გალეწა 520 ცენტნერი მარცვალი. მან „კომუნისტის" ვიმპელი მოიპოვა.

გუშინ პლანტაციებში

285.000 ტონა ჩაისათვის

გეგეჭკორი

გუშინ წვიმა იყო. მიუხედავად ამისა, მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 131 ტონა ჩაის ფოთოლი, სულ სეზონის დაწყებიდან — 8.304 ტონა. ეს წლიური გეგმის 70,8 პროცენტს შეადგენს, გეგმა-ვალდებულების — 62,1 პროცენტს, ხოლო შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 600 ტონით მეტია.

ცალკეულ მეჩაიეთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა გაჭედილის კოლმეურნეობის წევრი ნუნუხარ ბარქაია, რომელმაც 0,5 ჰექტარზე უკვე მოკრიფა 6.400 კილოგრამი „მწვანე ოქრო". გუშინ, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, მან 120 კილოგრამი მოკრიფა ნაცვლად 30 კილოგრამისა, ხოლო ძაბა ჯანჯღავამ — 80 კილოგრამი, სულ ძაბამ მოკრიფა 5.300 კილოგრამი ფოთოლი.

ჩხოროწყუ

სეზონის დაწყებიდან უკვე მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 6.500 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". გუშინ, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მოიკრიფა 64 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული. სულ მოკრეფილი ფოთლის რაოდენობა შარშან ამავე პერიოდთან შედარებით 70 ტონით მეტია.

ფოთლის კრეფის ყოველდღიური ტემპი უფრო გააძლიერეს ქვედა ჩხოროწყუს, დაბა ჩხოროწყუს ლენინის სახელობის, ახუთის, ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის, ლესიჭინის კიროვის სახელობის, ჭოღის ჟდანოვის სახელობის, ხაბუმეს ლენინის სახელობის, მუხურის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებმა, ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1973 წლის 9-16 ივლისს საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი.

სსრ კავშირში ყოფნის დროს ვიეტნამის დელეგაცია იწვია მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის ქარხანას, იყო ლენინგრადში, სადაც გაეცნო ქალაქის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს, აგრეთვე დაათვალიერა ლენინგრადის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო.

მოსკოვსა და ლენინგრადში დელეგაციის მონაწილეობით გაიმართა მიტინგები, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურღვევი მეგობრობის მგზნებარე დემონსტრაციად გადაიქცნენ. ყველგან საბჭოთა კავშირში მოძმე ვიეტნამის წარმომადგენლებს გაუწიეს მხურვალე, გულითადი მასპინძლობა, რომლითაც გამოიხატა საბჭოთა მშრომელების უცვლელი სოლიდარობა გმირი ვიეტნამელი ხალხისადმი.

ვიზიტის დროს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ლე თხან ნგი შეხვდნენ და ესაუბრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს ა. ა. გრეჩკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. თ. კატუშევს.

შეხვედრებსა და საუბრებში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე კ. ვ. რუსაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ი. ს. შჩერბაკოვი.

ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვო თხუკ დონგი, მინისტრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნგუენ ვან ქხა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნგუენ კო თხაჩი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი ჩან შამი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითადობისა და ამხანაგური ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა ინფორმაციის გაცვლა; განიხილავდნენ საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, ვიეტნამის შესახებ პარიზის შეთანხმების შესრულების საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

I.

საბჭოთა ხელმძღვანელებმა ვიეტნამელ მეგობრებს გააცნეს კომუნისტური მშენებლობის მიმდინარეობა სსრ კავშირში. პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც საბჭოთა ხალხი მუშაობს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის ამოცანების შესასრულებლად.

ვიეტნამის დელეგაციამ გამოთქვა ვიეტნამელი ხალხის უმხურვალესი გრძნობები საბჭოთა ხალხისადმი, დიდი ლენინის ქვეყნისადმი, ოქტომბრის რევოლუციის — კაცობრიობის ისტორიის უდიდესი რევოლუციის სამშობლოსადმი, რომლითაც დაიწყო სოციალიზმისა და კომუნიზმის ერა და რომელმაც ხალხებს დაუსახა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზა.

ვიეტნამის მხარემ გამოთქვა უდიდესი აღტაცების გრძნობა საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო წარმატებათა გამო, რომლებსაც თავისი არსებობის წლებში მიაღწია. საბჭოთა ხალხმა ღირსეულად დაიცვა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი, იხსნა კაცობრიობა ფაშისტური საფრთხისაგან; აქტიურად შეუწყო ხელი ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომ წარმოქმნილიყო სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც ადამიანთა საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია, ხელი შეუწყო ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მსოფლიო მოძრაობის მძლავრ აღმავლობას; მიაღწია უმაღლეს პროგრესს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, პირველმა დაიწყო ადამიანის საკეთილდღეოდ კოსმოსის დაპყრობის ერა. საბჭოთა კავშირი ახლა დიდი მსოფლიო სახელმწიფოა, რომელსაც აქვს თანამედროვე მრეწველობა, განვითარებული კოლექტიური სოფლის მეურნეობა, ჰყავს მძლავრი შეიარაღებული ძალები, აქვს მოწინავე კულტურა და მეცნიერება. საბჭოთა კავშირი ქვეყანაა, რომელმაც პირველმა დაამთავრა სოციალიზმის მშენებლობა, ახლა კი კვალავს კომუნიზმის გზას.

თავისი შექმნის დღიდან საბჭოთა სახელმწიფომ დიდი წვლილი შეიტანა მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში. საბჭოთა კავშირი სხვა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აქტიურად უწყობს ხელს მთელი მსოფლიოს რევოლუციური და პროგრესული ძალების განმტკიცებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ვიეტნამელი ხალხი გულწრფელად უსურვებს საბჭოთა ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, მოიპოვოს ახალი, უფრო დიდი წარმატებანი სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანათა შესრულებაში, რაც უდიდესწილად შეუწყობს ხელს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერების განმტკიცებას და შთამაგონებელი მაგალითი იქნება ხალხთა ბრძოლაში სოციალიზმის საქმისათვის.

ვიეტნამის ხელმძღვანელებმა საბჭოთა ხელმძღვანელებს გააცნეს ვიეტნამის მდგომარეობა, ამოცანები ახალ ეტაპზე, ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ვიეტნამის შესახებ პარიზის შეთანხმების ზუსტ შესრულებას, ჩრდილოეთ ვიეტნამში სახალხო მეურნეობის აღდგენა და სოციალიზმის მშენებლობა.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ გამოთქვა აღტაცება ვიეტნამელი ხალხის გმირობით, მისი სახელოვანი გამარჯვებებით სამშობლოს ხსნისათვის წინააღმდეგობის ომსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში, საბჭოთა ხელმძღვანელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ვიეტნამელი ხალხი ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით, იყენებს რა მოძმე სოციალისტური ქვეყნების დახმარებასა და მხარდაჭერას, მიაღწევს სრულ წარმატებას მშვიდობიანი, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავებული ვიეტნამის მშენებლობაში.

საბჭოთა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით მიაჩნია სოციალიზმის, უდიდესი სასიცოცხლო ძალის, საკუთარ ხალხში ბატონ-პატრონად ყოფნის უფლებისათვის იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი თავდადების, გამძლეობისა და გამბედაობის დამაჯერებელ დადასტურებად. პარიზის შეთანხმება ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ვიეტნამელი ხალხის ძირითადი ეროვნული უფლებების პატივისცემას, აგრეთვე

(დასასრული მე-3 გვ.).

მოსკოვი — ჩვენი სამშობლოს გული

მოსკოვი. კრემლის, მდინარე მოსკოვის ხიდისა და სასტუმრო „როსიას" ხედი კოტელნიკოვის სანაპიროზე აღმართული მაღლივი შენობიდან.

ვ. ეგოროვისა და ა. სტუჩინის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲔᲜᲗᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲨᲕᲔᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ

ᲡᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲝᲬᲔᲓᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲘᲒᲐᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲠᲔᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐ. ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘᲐ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮ ᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ — ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲡᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲔᲑᲘ ᲙᲐᲨᲐᲚᲘᲗ. ᲑᲔᲕᲠ ᲠᲘᲠᲘᲜᲘᲜᲗᲘ ᲛᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲡ, ᲨᲠᲓᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲧᲕᲚᲘᲚ ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲝᲑᲐᲡ ᲣᲗᲛᲝᲛᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ. ᲡᲚᲙᲐ XXIV ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲛᲝᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲨᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲠᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲠᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ — ᲛᲨᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲨᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲠᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲡᲢᲐᲠᲘ ᲠᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲠᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲡᲢᲐᲠᲘ ᲠᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲨᲠᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲩᲥᲐᲠᲘᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲠᲘᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲠᲘᲡᲣᲠᲡᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

მასების კონტროლით!

სახალხო კონტროლის გვერდი 78

□ სახალხო კონტროლიორები მოსავლის აღების წინა ხაზზე

□ როცა მატერიალურ რესურსებს უდიერად ეპყრობიან

□ მასალების, ნედლეულის ეკონომია — მთავარი საზრუნავი

ეკონომიურად ვხარჯოთ მატერიალური რესურსები

საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში მატერიალური რესურსების ეკონომიურად გამოყენების შემოწმების შედეგები განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. შემოწმებული 50 საწარმოდან მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმების შემცირების დავალება 1973 წლისათვის შესრულებული არ ჰქონდა 15 საწარმოს, მათ შორის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტს", თბილისის ქარხანა „ელექტროიზოლიტს", ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელს", ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ხოხუმის ქიმიურ ქარხანას, რუსთავის ქიმიურ კომბინატს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 და № 8 ტრესტების სამრეწველო საწარმოთა კომბინატებს, № 15 ტრესტის მსხვილპანელიანი სახლმშენის ქარხანას, ტრესტ „საქმშენინდუსტრიის" № 2 და № 3 რკინაბეტონის ნაწარმთა ქარხნებს, № 1 ხისდამმუშავებელ კომბინატს, № 1 ტრესტის რკინაბეტონის ნაწარმთა კომბინატს, საგზაო მანქანათმშენებელ და ლითონდამმუშავებელ ქარხნებს.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საწარმოთა უმრავლესობაში არ არის შემუშავებული ღონისძიებანი მატერიალური რესურსების ეკონომიის უზრუნველსაყოფად, დაშვებულია მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის გადახარჯვა. 1972 წელს შავი ლითონების ნაგლინის, თუჯისა და თითბრის ნაგლინის ეკონომიის დავალება არ შეასრულა თბილისის ქარხანა „ელექტრომავალმა" და თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატმა", ხოლო ელექტროენერგიის ეკონომიის დავალება — რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ. თუჯის ნაგლინის ხარჯვის ნორმების საშუალოდ შემცირების დავალება არ შეასრულა ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ და ა. შ.

ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც საწარმოებისა და მშენებლობების მიერ შემუშავებული ღონისძიებანი არ უზრუნველყოფენ დაწესებულ დავალებათა შესრულებას. მარტო ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს 11 საწარმოში შემუშავებული ღონისძიებანი ლითონის ხარჯვის შემცირებას უზრუნველყოფენ მხოლოდ 1580 ტონის მოცულობით, რაც 285 ტონით ნაკლებია.

შემოწმებამ ცხადყო, რომ მთელ რიგ საწარმოებში მატერიალური რესურსების ხარჯვის ნორმირება არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ქიმიური მრეწველობის სამინისტროს რუსთავის ქიმკომბინატში ძირითადი ნედლეულის ხარჯვის მოქმედი ნორმები მთელ რიგ შემთხვევებში აღემატება უკანასკნელ წლებში ფაქტიურად მიღწეულს. ამიაკური გვარჯილას, ნატრიუმის ნიტრატისა და კაპროლაქტამის წარმოებისათვის ამიაკის ხარჯვის ნორმები არ იცვლება წლების მანძილზე.

ელექტროტექნიკური მრეწველობის თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატს" არ გააჩნია ზოგიერთი სახის ნაწარმზე შავი ლითონების და სხვა სახის მასალების ხარჯვის ნორმები.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში 1972 წელს დაშვებული იყო თუჯის, თითბრის ნაგლინისა და სხვა სახეობათა ხარჯვის ნორმების გადიდება გასულ წლებთან შედარებით.

მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მატერიალური რესურსების ხარჯვის ეკონომიის საქმეში სამშენებლო საწარმოებში. ტრესტ „მშენინდუსტრიის" ქუთაისის № 2 ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანაში უხარისხო ინერტული მასალების შემოსვლისა და სხვადასხვა მარკების ცემენტის შერევის შედეგად სასილოსე საწყობებში ცემენტის გადახარჯვა 1972 წელს 544 ტონას შეადგენდა. ამავე ქარხანაში ცემენტის დიდი რაოდენობა იკარგება, განსაკუთრებით გადახურული ვაგონების განტვირთვის დროს.

ადგილი აქვს ლითონის არარაციონალურად ხარჯვის ფაქტებს ისეთი არმატურის გამოყენების ანგარიშზე, რომელიც არ შეესაბამება ტექნიკურ დოკუმენტაციას. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქმშენინდუსტრიის" თბილისის № 3 რკინაბეტონის ნაწარმთა ქარხანაში არასათანადო პროფილის არმატურის გამოყენებამ გამოიწვია წელიწადში დაახლოებით 70 ტონა ლითონის გადახარჯვა.

ზოგიერთ საწარმოსა და მშენებლობაზე ირღვევა სახელმწიფო საგეგმო დისციპლინა. ნედლეულსა და მასალებს იყენებენ არადანიშნულებისამებრ. გამოვლინებულია გარეშე ორგანიზაციებზე მატერიალური რესურსების გაცემის მრავალრიცხოვანი ფაქტები. ასეთი მდგომარეობაა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოების სამინისტროს ბევრ საწარმოში.

შემოწმებით გამოვლინდა ნედლეულის, მასალებისა და მოწყობილობის მოვლა-შენახვისადმი უპასუხისმგებლო, დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტები. ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში მოწყობილობა, საკაბელო ნაწარმი, ელექტროძრავები, ტრანსფორმატორები და საწარმოში შემოსული თითქმის ყველა შავი ლითონების ნაგლინი და მილები ინახება ღია ცის ქვეშ, საფენებისა და მარკირების გარეშე, განიცდის ატმოსფერული ნალექების ზეგავლენას, კარგავს ფიზიკურ თვისებებსა და სასაქონლო სახეს.

პლასტიკატების უწესრიგოდ, დაუდევრად ტრანსპორტირებისა და შენახვის გამო ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელში" უვარგისი გახდა 20 ტონა პლასტიკატი, რომლის ღირებულება 17,8 ათას მანეთს შეადგენს.

მატერიალურ რესურსებს არადამაკმაყოფილებლად ინახავენ შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტში", თბილისის ელმავალსაშენებლო, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ, რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნებში და სხვ. შემოწმებამ ცხადყო აგრეთვე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში ბანკით დაუკრედიტებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები, 1973 წლის 1 იანვრისათვის 1972 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თუმცა შემცირდა 0,6 მილიონი მანეთით, მაგრამ ჯერ კიდევ დიდია და შეადგენს 17,9 მილიონ მანეთს, ამასთან გამოვლინებულ იქნა დამატებითი ეკონომიის მნიშვნელოვანი რეზერვები.

განხილული საკითხის გამო კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება.

სიახლე, ძიება...

სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა წითელწყაროს რაიონში. უკანასკნელ ხანს აქ დიდი ძვრები მოხდა როგორც მარცვლეულის წარმოების, ისე მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამაში გარკვეული წვლილი სახალხო კონტროლის ჯგუფსაც მიუძღვის.

სწორედ ამიტომ იყო, რომ სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მოისმინა და განაზოგადა სოფელ გამარჯვების კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობა. ეს იყო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შემოწმება, ანალიზი, სახალხო კონტროლიორთა მუშაობაში ახალ-ახალი ხერხებისა და მეთოდების განზოგადება.

აღინიშნა, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფს გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის. ყველა საწარმოო უბანზე შექმნილია საგუშაგო, სამუშაოთა მიხედვით ჯგუფის წევრები მიმაგრებული არიან ბრიგადებში, რგოლებში, წამოწყებებზე, იქ, სადაც იქმნება სახალხო დოვლათი. ისინი არა მარტო კონტროლს ახორციელებენ, არამედ შრომაში უშუალო მონაწილეობით ეხმარებიან კოლექტივებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ჯგუფის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების მომზადებისათვის. ამისათვის კოლმეურნეობამ რაიონში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა.

სახალხო კონტროლის ჯგუფის ინიციატივით გასულ წელს პირველად კოლმეურნეობაში დაინერგა ვაზის სარგავი და ვენახის მექანიკური სათოხნი მანქანების გამოყენება. ამით გამოთავისუფლდა 50-ზე მეტი მუშახელი, ფულადი გამოხატულებით კოლმეურნეობამ 6.330 მანეთი დანაზოგი მიიღო. სახალხო კონტროლის საგუშაგოები ყოველდღიურად მოახსენებენ ჯგუფის ხელმძღვანელს განვლილი მუშაობის შედეგებს. ამისათვის შემოღებულია სპეციალური ჟურნალი.

კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე ჯგუფის მუშაობის ნაკლოვანი მხარეები. კერძოდ, სახალხო კონტროლის თვალი ვერ სწვდება ისეთ უბანს, როგორიც არის სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენება. ირღვევა ამ საქმეში დაწესებული წესები, ნორმები. მეცხოველეობის ცალკეულ ბრიგადებში მოუგვარებელია საკვების ხარჯვისა და მიღებული პროდუქციის აღრიცხვის საქმე. შეინიშნება ანტისანიტარია. ჯერ კიდევ მაღალია პირუტყვის დაცემისა და იძულებითი დაკვლის შემთხვევები, ადგილი აქვს უხარისხო პროდუქციის, განსაკუთრებით ტყავნედლეულის დამზადების ფაქტებს. მთავარი ნაკლი სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობაში მაინც ის არის, რომ ჯგუფის ყველა წევრი ჯერ კიდევ აქტიურად არ არის ჩაბმული მუშაობაში.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჯგუფის მუშაობას პურეულის მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებასა და დაბინავებაში, დაუსახა მას კონკრეტული ღონისძიებანი.

კონტროლის ძირეული ორგანიზაციები, რომელთაც ეს დადგენილება გაეგზავნათ, გამოიყენებენ მას არა მარტო სახელმძღვანელოდ, არამედ სათანადო დასკვნებსაც გააკეთებენ თავიანთი მუშაობიდან.

ვ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქარელის რაიონის რუისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლიორები ამოწმებენ კომბაინებს ნაკვეთში გასვლის წინ. (მარცხნიდან) ა. ბალიაშვილი, მ. კუთხაშვილი, ქარელის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე დ. ნადირაძე, ა. ღვინიაშვილი და მ. უმეკაშვილი.

გ. გომოხიას ფოტო.

არც ერთი თავთავი ნაწვერალზე, არც ერთი მარცვალი ნამჯაში!

კონტროლიორთა ფხიზელი თვალი

რუისპირელთა სიტყვა და საქმე

კომბაინების გუგუნმა „ჯანაანიდან" „არტოზანში" გადაინაცვლა. ოთხივე ხომალდი 85-ჰექტარიან ხოდაბუნში შეუდგა თავთავდამძიმებული „უფხოს" მკას.

შორიდან ძირს დახრილი კაცი შევნიშნეთ, იგი მიწაზე გულმოდგინედ რაღაცას ეძებდა.

— ათ კვადრატულ მეტრზე მხოლოდ ორიოდე თავთავი ვიპოვნე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კომბაინერები ურიგოდ არ მუშაობენ, — მისალმებისთანავე გვითხრა თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის" სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარემ არჩილ ნაცარაშვილმა.

შეკითხვაზე — ადგილი ხომ არ ჰქონია წინა დღეებში უხარისხო მკას, ან რა ღონისძიებებს ატარებს სახალხო კონტროლის ჯგუფი მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის, ა. ნაცარაშვილმა გვიპასუხა:

— პურეულის მოსავლის აღების დაწყებამდე კარგახნით ადრე ჩავატარეთ სახალხო კონტროლის ჯგუფისა და საგუშაგოების წევრთა თათბირი. ყველა საწარმოო ბრიგადაზე, კომბაინზე, ავტოტრანსპორტზე, საველე კალოზე მივამაგრეთ ჯგუფის წევრები, დავალება მივეცით საგუშაგოებსაც, მკაცრი კონტროლი დავაწესეთ ყველა სამუშაო უბანზე. მკის დაწყების პირველ დღეს ჯგუფის წევრმა ვ. თანდილაშვილმა შენიშნა, რომ კომბაინერ გ. ამონაშვილს მაღალ ჭრაზე ჰქონდა დაყენებული მანქანა, რაც თავთავისა და ნამჯის დანაკარგებს იწვევდა. ამაზე მაშინვე მივუთითეთ კომბაინერს, რომელმაც შეცდომა სწრაფად გამოასწორა.

საგუშაგოს წევრებმა შენიშნეს, რომ ნასეტყვ ნაკვეთებში ყანა ჩაწოლილი იყო და კომბაინებს უძნელდებოდა მისი აღება, დანაკარგებიც დიდი იყო. ეს ეცნობა ჯგუფის ხელმძღვანელობას. ა. ნაცარაშვილმა სასწრაფოდ მოიწვია ადგილზე კოლმეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი მ. ტარუღაშვილი, შეკრიბა კომბაინერები, გამოცდილი მექანიზატორები და ადგილზევე გაიმართა მსჯელობა, თუ როგორ ეშველათ საქმისათვის. აზრთა გაზიარების შემდეგ შეიმუშავეს ღონისძიება და მკის ხარისხიც ბევრად გაუმჯობესდა.

პურეულის მკასთან ერთად მიმდინარეობს ნამჯის შეგროვება-დაწნეხვა. სახალხო კონტროლიორებს შეუმჩნეველი არ დარჩათ, რომ იკარგებოდა ბევრი ნამჯა, ნაკვეთებიც გაუწმენდავი რჩებოდა. კონტროლიორთა მოთხოვნით კოლმეურნეობის გამგეობამ მკაცრად გააფრთხილა მექანიზატორები და ნაკვეთებში ხელახლა შემოატარეს ნამჯის შესაგროვებელ-საწნეხი აგრეგატები. კარგად გაწმენდილ ფართობზე სწრაფი ტემპით წარიმართა ნაწვერალის ხვნა, უკვე 90-მდე ჰექტარზეა დათესილი სიმინდი.

სახალხო კონტროლიორები შრომაშიც მაგალითის მიმცემნი არიან. ჯგუფის წევრმა კომბაინერმა ლ. მამუკაშვილმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული თანასოფლელ ს. ხოკერაშვილთან, ექვს სამუშაო დღეში პურეული 97 ჰექტარზე აიღო და 206 ტონა ხორბალი გალეწა. ასეთსავე წარმატებას აღწევს სახალხო კონტროლის ჯგუფის მეორე წევრი კომბაინერი გ. გურგენაშვილიც, რომელმაც თავის „მეტოქეზე" გ. ამონაშვილზე 30 ჰექტარით მეტი მომკა და 62 ტონით მეტი ხორბალი გალეწა.

საერთოდ, კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ყალანდარიშვილი) ორგანიზებულად მიმდინარეობს მოსავლის აღება. ამაში მნიშვნელოვანი ღვაწლი სახალხო კონტროლიორებსაც მიუძღვით. სეტყვით მიყენებული დიდი ზიანის მიუხედავად, მომკილია 309 ჰექტარი, ხორბლის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 21 ცენტნერს გადააჭარბა, გეგმა კი 17 ცენტნერს ითვალისწინებს. დარჩენილ 100-მდე ჰექტარზე, რომელიც სეტყვას გადაურჩა, გაცილებით მეტ მოსავალს იღებენ.

ჭირვეული ამინდების მიუხედავად, კომბაინები გვიან ღამემდე გუგუნებენ. მექანიზატორები ცდილობენ 9 სამუშაო დღეში დაამთავრონ ალოობა ნაცვლად წინასწარ დათქმული 10-12 დღისა.

ა. თვალიაშვილი,

დროულად, უდანაკარგოდ!

როცა საგუშაგოები აქტიურობენ

ბოლნისის რაიონში მოსავლის აღების გადამწყვეტი დღეებია. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, თვითეული მშრომელი დასაქმებულია პურეულისა და კარტოფილის აღებაზე. სულ რაიონში პურეული უნდა აიღონ 6.000 ჰექტარზე, ხოლო საადრეო კარტოფილი — 586 ჰექტარზე.

ახლა მთავარია მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღება. ამ საქმეში დიდია სახალხო კონტროლიორთა ამოცანები. და რომ ეს ამოცანები წარმატებით იქნეს გადაწყვეტილი, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩაგვეტარებინა სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი. ამ თათბირ-სემინარს ესწრებოდნენ აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროსპეციალისტები. თათბირ-სემინარის მონაწილეებს გავაცანით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 მაისის დადგენილება „1973 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ". კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებს მიეცათ მითითება ჩაეტარებინათ ჯგუფის წევრთა კრებები, სადაც დასახავდნენ მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღების ღონისძიებებს. ეს კრებები ჩატარდა თითქმის ყველა მეურნეობაში.

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის, მისასვლელი გზების შეკეთების, სასაწყობო მეურნეობების მზადყოფნის, საველე კალოების მომზადების, შრომის ანაზღაურების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობათა მუშების სამედიცინო და კულტურული მომსახურების, სათადარიგო ნაწილებით და საწვავ-საცხები მასალებით უზრუნველყოფისა და სხვა საკითხები.

ადგილებზე სახალხო კონტროლიორები ამოწმებენ, თუ რამდენად სწორად ფორმდება მარცვლეულისა და კარტოფილის შემოსავალში აღების დოკუმენტები, როგორია პროდუქციის ხარისხი და ხომ არ არის დანაკარგები?

განსაკუთრებით კარგად მოაწყეს თავიანთი საქმიანობა არახლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლიორებმა (ჯგუფის თავმჯდომარე ჯ. გასანოვი). აქ ყველა ბრიგადაში შექმნილია დროებითი საგუშაგოები, რომელთა მოვალეობას შეადგენს ყოველდღიური კონტროლი დააწესონ კარტოფილის უდანაკარგოდ აღებაზე და შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადონ უყაირათობას, გაფლანგვას. ამასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლიორებმა მეურნეობის ადმინისტრაციის წინაშე დააყენეს საკითხი მოაწყონ კარტოფილის მეორედ ამოთხრა იქ, სადაც ეს საჭიროა. ეს კი საჭიროა იმ შემთხვევაში, როცა მოსავლის აღება ავდარში ხდება.

როცა ამ ღონისძიების გატარების ეკონომიური ეფექტი დაიანგარიშეს, აღმოჩნდა, რომ საბჭოთა მეურნეობამ ჰექტარზე დამატებით 10-15 ცენტნერი კარტოფილი მიიღო. საერთოდ მეურნეობამ 10 ივლისისათვის სახელმწიფოს ჩააბარა 2.300 ტონა კარტოფილი.

ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, ფახრალოსა და სარაჩილოს კოლმეურნეობებში სახალხო კონტროლიორებმა (ჯგუფების თავმჯდომარეები ი. ქარქუზაშვილი, კ. ბაითალოვი, ი. ბაირამოვი) შენიშნეს, რომ კომბაინერები ყანას ჭრიდნენ მაღლა, რაც იწვევდა ხორბლის დანაკარგებს, ნამჯის გამოსავლიანობაც ნაკლები იყო. კონტროლიორთა მოთხოვნით ეს მდგომარეობა გამოსწორდა, ჭრა მოეწყო უფრო დაბლა.

მიუხედავად მრავალი კარგი ღონისძიებისა, ჯერ კიდევ შეიმჩნევა ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა განიცდის სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას. მთელ რიგ მეურნეობებს კი საჭირო რაოდენობით არ გააჩნიათ სასწორები.

ესეც დროზე უნდა გამოსწორდეს.

ი. დანელია,
ბოლნისის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

„კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

სასწავლო საცდელი, თუ სავაჭრო მეურნეობა?!

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ა. ჩიკვაიძე

მიმდინარე წლის 30 მაისს გაზეთ „კომუნისტის" სახალხო კონტროლის გვერდზე დაიბეჭდა კრიტიკული წერილი — „სასწავლო საცდელი, თუ სავაჭრო მეურნეობა?!" ამასთან დაკავშირებით საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი ა. ჩიკვაიძე რედაქციას ატყობინებს, რომ სტატია, რომელიც შეეხებოდა დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, განხილულ იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის სხდომაზე, პარტიულმა კომიტეტმა სწორად ცნო სტატიაში აღნიშნული ნაკლოვანებები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის 6 ივლისს განიხილა საკითხი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში უხეში დარღვევების შესახებ. მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. წერეთელი ადმინისტრაციის საქმიანობაზე არასათანადო კონტროლისათვის, მეურნეობიდან ფონდირებული მასალის არაკანონიერი გზით შეძენისათვის გათავისუფლებულია პარტბიუროს მდივნობიდან და გამოეცხადა საყვედური.

მეურნეობის აგრონომს ი. ფავლენიშვილს ფონდირებული მასალის არაკანონიერი გზით შეძენისათვის გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

მეურნეობის ბუღალტერ ა. გოგოლაურს საფინანსო საქმიანობაში არსებული შეცდომებისა და უხეში დარღვევებისათვის, ფონდირებული მასალის არაკანონიერი გზით შეძენისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

მუშათა კომიტეტის თავმჯდომარეს ა. იორდანიშვილს პრემიებისა და ერთდროული ფულადი დახმარების პირადი შეხედულებით (მუშათა კომიტეტის სხდომაზე განხილვის გარეშე) გაცემისათვის გამოეცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ღვინის ქარხნის ტექნოლოგს ი. ჯავშანაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით კომისიისათვის დ. თვაურის შრომითი საქმიანობის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდებისა და მის სახელზე ყალბი შრომითი საქმიანობის ტაბელის შედგენისათვის.

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორი მ. მანჯავიძე მეურნეობის საფინანსო სამეურნეო საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის, არაკანონიერი გზით ფონდირებული მასალის შეძენისათვის გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან და გამოეცხადა საყვედური.

დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობისადმი არასათანადო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის, რამაც განაპირობა მეურნეობის საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში არსებული უხეში დარღვევები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორს ი. სარიშვილს და ინსტიტუტის პარტიულ კომიტეტს მიეთითათ.

ვინ უნდა იზრუნოს?

ეს წერილი რედაქციამ წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთიდან მიიღო. აი რას გვწერდნენ იქაური მკვიდრნი:

„ბევრი გულისტკივილი გვაქვს გეგუთელებს, ბევრი...

ადრე კლუბად და კინოდარბაზად ძველი შენობა გვქონდა გამოყენებული, მაგრამ იგი კარგახანია „ჩამოწერეს". მას შემდეგ კინოსურათებიც კი არ გვინახავს.

ხუთიოდე წლის წინათ აბანოც გვქონდა. სოფლის თავკაცებმა იგი უვარგისად მიიჩნიეს და ახლის აგება განიზრახეს. მშენებლობა 1969 წელს დამთავრდა, აბანო კი დღესაც უმოქმედოდ დგას.

ახალი სასადილოს გახსნაზეც დავაყენეთ საკითხი, მაგრამ უკვე იმედი აღარა გვაქვს, რადგან აფთიაქის გახსნას რამდენიმე წელია გვპირდებიან, ხოლო დაპირებას ბოლო არ უჩანს.

სოფლის ცენტრში მთავარი გზა უპატრონოდ არის მიტოვებული, მოუგვარებელია სატელეფონო კავშირიც".

ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ ვესტუმრეთ გეგუთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს რ. კილაძეს, რომელმაც სოფლის მშრომელთა მიერ დაყენებულ საკითხებზე ასეთი პასუხი გაგვცა:

„— ჩვენს სოფელს, სადაც 3.400 მცხოვრებია, ამჟამად კლუბი მართლა არ გააჩნია.

მშრომელთა საერთო კრებებზე და რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე რამდენჯერმე დავაყენეთ კლუბის მშენებლობის საკითხი. საქმე კი ადგილიდან არ იძვრის.

სწორია შენიშვნები აბანოს შესახებაც. საბჭოთა მეურნეობას აბანოს შენობა საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცა რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსათვის. ეს საქმე ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

გასული წლის ოქტომბერში სასოფლო საბჭოს აღმასკომმა წერილობით მიმართა წყალტუბოს რაიკოოპკავშირის გამგეობას სოფლის ცენტრში სასადილოს აღდგენის თაობაზე. ჩვენი თხოვნა ყურად არ იღეს. სოფელს არც აფთიაქი გააჩნია.

საღამოს საათებში არც სატელეფონო კავშირის საქმეა მოგვარებული. საბჭოთა მეურნეობის დაკვეთით შედგა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ავტომატური სადგურის მშენებლობაზე, მაგრამ თანხები ჯერ არ გამოუყვიათ.

გეგუთის გზის კაპიტალურ შეკეთებას ქუთაისის მეექვსე საგზაო უბანი აწარმოებს. ეს სამუშაო ორი წელია გრძელდება, თანაც უხარისხოდ. ინტენსიური ექსპლოატაციის პირობებში გზა მწყობრიდან გამოდის, ზოგიერთ ადგილზე გავლა მართლაც შეუძლებელია".

რაღა გვეთქმოდა, ჩვენც გულდაწყვეტილი დავემშვიდობეთ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს. ვფიქრობთ, იქნებ წყალტუბოს რაიონის ხელმძღვანელობამ თქვას თავისი სიტყვა სოფელ გეგუთის მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

დ. გედენიძე.

ტკბილი დაპირება და მწარე სინამდვილე

მცირე რამ კარგი გაკეთდა მესტიაში უკანასკნელ წლებში. რაიონული ცენტრი უფრო დამშვენდა და გალამაზდა, აშენდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მაღაზიები, საერთო საცხოვრებლები, გაიყვანეს ახალი ქუჩები, სტუმრებს გულთბილად მასპინძლობს რეკონსტრუირებული და კეთილმოწყობილი სასტუმრო „მესტია". ძველი მაჩუბები (სახლები) და ციხე-კოშკები, რომლებიც სვანების ადრინდელ დუხჭირ ცხოვრებასა და მტრებთან სისხლისმღვრელ ბრძოლებს მოგვაგონებს, ნაკრძალად არის გამოცხადებული, მათ გვერდით კი ნახავთ თანამედროვე ტიპის, გემოვნებით ნაშენებ სახლებს, რომლებიც ხეხილის ბაღებშია ჩაფლული.

და აი ასეთი შთაბეჭდილების შემდეგ, რა თქმა უნდა, გული დაგწყდებათ, როდესაც რაიონულ ცენტრში დანგრევის პირას მისულ კულტურის სახლს ნახავთ. კიბე დამლილია, კარ-ფანჯრები დამპალი და ჩამტვრეულია, შესვლა საშიშია, რადგან არ იცით რა ჩამოინგრევა, ან რა დაგეცემა თავზე.

აი რას ამბობს ამ სახლის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პლატონ დადვანი:

— ამ ძველთაძველი შენობის ფოიე 1970 წელს ჩამოინგრა. მუშებმა ყავარქვეშა ძელები გამართეს და ჭერი მავთულით მიაბეს. ერთი წლის შემდეგ დარბაზმა იწყო ჩამოწოლა. ახლა ძელები გავდეთ და ჭერი და სახურავი მავთულებით გადავაბით ერთიმეორეს. ფაქტია, ასეთი „რემონტი" რას უშველიდა დანგრევისპირას მისულ სახლს. ამის შესახებ ვაცნობეთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს. იქიდან ჩამოსულმა ინჟინერმა შეამოწმა შენობა და აგვიკრძალა იქ შესვლა. მალე სამინისტროდანაც მივიღეთ ბრძანება — მანამ კაპიტალური რემონტი არ გაკეთდება, კულტურის სახლი დალუქეთო. ასეც მოვიქეცით, მაგრამ ხალხი აღშფოთდა, რაიონში სხვა არც კლუბია და არც კინოთეატრი. შესაძლებლობის ფარგლებში კვლავ გავუკეთეთ რემონტი სახლს და გავხსენით, დღეში ორჯერ გადის კინოსეანსი, ტარდება სხვა ღონისძიებები, მაგრამ ვაი ასეთ მუშაობას, არ ვიცით შენობა თავზე როდის დაგვენგრევა.

კულტურის სამინისტროს სპეციალიზებულმა საპროექტო კანტორამ გასული წლის მაისში შეადგინა ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით კულტსახლის კაპიტალური რემონტისათვის საჭირო იყო 35 ათასი მანეთი, ხოლო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისათვის — 3 ათასი მანეთი. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ თავის მხრივ საჭიროდ მიიჩნია, რომ თანხები გამოინახა მესტიის რაისაბჭოს აღმასკომს, მაგრამ ამ უკანასკნელს ეს თანხები არ გააჩნია. წელს რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით კულტურის სახლის რემონტისათვის გამოიყო 9 ათასი მანეთი. ამ თანხიდან პროექტის შემდგენლებს უნდა ჩაერიცხოს 3 ათასი მანეთი, ხოლო დარჩენილი 6 ათასი მანეთი მინიმალურადაც არ არის საკმარისი რემონტისათვის.

ავარიულ მდგომარეობაშია აგრეთვე მულახის კულტურის სახლი და დოლასყიფის სასოფლო კლუბი.

ამჟამად რაიონში არსებული 45 კულტურის კერიდან 23 კერძო ბინებშია მოთავსებული, ნაწილი კი კოლმეურნეობათა შენობებში, რომლებიც საწყობებად იყო გათვალისწინებული.

ჯერ კიდევ 1959 წელს მესტიის ჩრდილო-აღმოსავლეთით ლეჯურეულას გაშლილ მინდორზე დაიწყო საკავშირო მნიშვნელობის ტურისტული ბაზის „უშბის" მშენებლობა, რომელიც დანაშაულებრივად ჭიანურდება. 1971 წლის 21 ოქტომბერს „კომუნისტი" ამ მშენებლობაზე წერდა, რომ დღემდე რაც აშენებულია, უხარისხოდ არის გაკეთებული. 200 ტურისტისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლის უკანა კედლებიდან პირველ და მეორე სართულზე წყალი შემოდის. 1969 წელს მოხდა „უშბის" რეკონსტრუქცია, შედგა მისი ახალი დოკუმენტაცია, მაგრამ ორი წელია მშენებლობაზე ქვა ქვაზე არ დადებულა... ძველი დაუმთავრებელი და დეფორმირებული კორპუსები სათავსებად უნდათ გადააკეთონ, ხოლო იქვე მსგავსი საცხოვრებელი კორპუსების აშენება დაპროექტებული. ყოველივე ამან დამატებითი ხარჯები გამოიწვია, გაართულა და გააძვირა ტურბაზა „უშბის" მშენებლობა. მაგრამ ეს პროექტიც „დაკონსერვდა" მშენებელი ორგანიზაციის ძებნაში.

გაზეთის ამ სიგნალის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო პროექტის ვაი-შემდგენლებზე, რომლებმაც ვერ გაითვალისწინეს მაღალმთიანი რაიონის თავისებურებანი, გადამჭრელ ზომებს მიიღებდა, მაგრამ...

„უშბას" მშენებლობა დღესაც კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. არც შარშან და არც შარშანწინ მშენებლობის გეგმები არ შესრულებულა, ეს საქმე წელსაც საფრთხის წინაშეა.

ხშირად საპროექტო ორგანიზაციები სცოდავენ, ისინი პროექტებს ზერელედ ადგენენ, შემდეგ კი ხდება მათი გადაკეთება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ეს ფაქტები დამაფიქრებელია.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა

ჩვენი კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ პურეულის მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხი რომ განიხილა, გარკვეული მითითებები კონტროლის ჯგუფსაც მისცა. დავალებები ისე გავანაწილეთ, რომ ყველა საწარმოო ბრიგადას, რგოლს, საველე კალოს თუ კომბაინის აგრეგატს სახალხო კონტროლის ყურადღება არ მოჰკლებოდა.

შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა, ვახდენთ შემოვლებს როგორც სოფლად, ისე მინდვრად. ჩვენმა კონტროლიორებმა კარგად იციან რომ მათ მუშაობაზე, საქმისადმი თავდადებაზე დიდად არის დამოკიდებული საკოლმეურნეო ქონების დაცვა, უხვი მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღება. ამიტომ დღედაღამ ფხიზლობენ, კონტროლს უწევენ ყველა საქმეს.

გაცხოველებით მიმდინარეობს პურეულის მოსავლის აღება, პირუტყვის საკვების დამზადება, ვენახებისა და საგაზაფხულო ნათესების დამუშავება. სახალხო კონტროლიორები ა. ბაღაშვილი, ი. ხუნაშვილი, ფ. ხუნაშვილი და სხვები ამ სამუშაოებზე მარტო ზედამხედველის როლში კი არ გამოდიან, არამედ შრომაშიც საუკეთესონი არიან.

გ. ლაზარიაშვილი,
სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

შეხვედრები...

მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის დღიური

მოსკოვის VIII საერთაშორისო კინოფესტივალი გრძელდება.

11 ივლისს ჩვენმა ჩეხოსლოვაკიელმა მეგობრებმა ორი სურათი აჩვენეს: „იანო“ და „სამი მეგობარი“. სურათების პრემიერის შემდეგ შევხვდით ცნობილ მსახიობს იანა ბრეიხოვას. ჩვენთან საუბარში მან განაცხადა: „მე მომწონს თქვენი ახალგაზრდა რეჟისორების ფილმები. განსაკუთრებით ვაფასებ ა. ტარკოვსკის, გ. შენგელაიას, ა. კონჩალოვსკის და ო. იოსელიანის ნამუშევრებს. ჩეხოსლოვაკიაში წარმატებით ჩატარდა საბჭოთა კინოს კვირეული, სადაც ე. შენგელაიას სითბოთი და სიკეთით სავსე სურათი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ აჩვენეს. ჩემი იოცნებაა გადავიღო სურათი რომელიმე საბჭოთა რეჟისორთან ერთად“.

მივყვებით ხალხის ტალღას. აი კრემლი, ცნობილი „ბოროვიცკიე ვოროტა“, ამაყად გარინდული ივანე მრისხანის პატარა ეკლესია, მის გვერდით კი ვინ მოთვლის რამდენ ენაზე ისმის ლაპარაკი და სიმღერა... ვესაუბრეთ მონგოლ მსახიობებს ბ. ტუნგალაგას და ლ. ნეიმსურენს. ისინი პირველად არიან მოსკოვში — „მე მიყვარს საბჭოთა კინო — ამბობს ბ. ტუნგალაგა, მიხარია, რომ ჩვენს ფილმს აჩვენებენ მოსკოვის კინოფესტივალზე, მონგოლეთის კინო ჯერ ახალგაზრდაა, ბევრი მუშაობა მოგვიწევს, რომ მონგოლეთის კინოხელოვნება სასურველ სიმაღლეზე ავიყვანოთ“.

მოსკოვში ფესტივალზე ჩამოვიდა იტალიის კინოვარსკვლავი ჯინა ლოლობრიჯიდა თავის შვილ მილკოსთან ერთად. ჯინა მხატვრული ფილმების საპატიო ჟიურის წევრია. მან თან ჩამოიტანა და ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციაზე ესაუბრა თავისი წიგნ-ალბომის „ჩემი იტალიის“ შესახებ. აქ სამასზე მეტი ფოტოსურათია თავმოყრილი. პრეს-კონფერენციაზე ჯინა ლოლობრიჯიდამ განაცხადა: „მე ქედს ვიხრი საბჭოთა კინოს წინაშე. — ჩვენ ვიზრდებოდით ეიზენშტეინის, დოვჟენკოს, პუდოვკინის და კალატოზოვის სურათებზე. მიხარია, რომ მქონდა საშუალება რომში, ჩემს სახლში მომეწყო საბჭოთა რეჟისორის მიხალკოვ-კონჩალოვსკის სურათის „პირველი მასწავლებლის“ პრემიერა...

გვესაუბრება ვენესუელელი რეჟისორი მაურისიო ვალერსტეინი — „ბედნიერი ვარ მოსკოვში ჩამოსვლით, ეს ყველაზე დემოკრატიული ფესტივალია, სადაც კი ოდესმე ვყოფილვარ... სამწუხაროდ, ჩემი ქვეყანა მხოლოდ ორ სრულმეტრაჟიან ფილმს იღებს წელიწადში. მე და ჩემი მეგობრები ვენესუელის კინემატოგრაფიის პიონერები ვართ. ქართულ კინოს კარგად ვიცნობ, მარშან საფრანგეთსა და ინგლისში მომხიბლა ო. იოსელიანის „გიორგობისთვემ“ და გ. შენგელაიას „ფიროსმანმა“, ვამაყობ, რომ ფიროსმანის ნამუშევრების გამოფენა დავათვალიერე ლუვრში. კეთილი სურვილები გადაეცით საქართველოს კინოს მუშაკებს“...

ჰენრმსსიიმბი პოლა რაქსა (პოლონეთი). მოუთმენლად მოველოდი რეზო ჩხეიძის „ნერგების“ ნახვას. ძალიან მომწონს მისი ფილმები „ბაგდანას ლურჯა“ (რომელიც თ. აბულაძესთან ერთად გადაიღო), „ჩვენი ეზო“ და „ჯარისკაცის მამა“...

საფრანგეთის დელეგაციის მეთაური „იუნი ფრანს ფილმის“ გენერალური დირექტორი რობერ პრავენი: — „მოხარული ვართ, რომ ფრანგ და საბჭოთა კინოს მუშაკთა ერთობლივი მოღვაწეობა სულ უფრო ინტენსიური და საინტერესო ხდება. მალე დავიწყებთ ერთობლივი ფილმის „პატრიოტის“ გადაღებას. სცენარი ქართველ დრამატურგ გ. მდივანს ეკუთვნის. გაზაფხულზე პარიზის საბჭოთა საელჩოში მოგვეცა საშუალება გვენახა ქართული ფილმები, რომელთა ნახვამ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო — გ. შენგელაიას „ფიროსმანი“, აბულაძის „ვედრება“ და ჟორჟ სადულის სახელობის პრემიის ლაურეატის ო. იოსელიანის „გიორგობისთვე“.

რეჟისორი ფრანს შტიგლიცი (იუგოსლავია): „მოსკოვში ბევრჯერ ვარ ნამყოფი. ბევრ საბჭოთა რეჟისორთან მეგობრობა მაკავშირებს. ჩემი აზრით მოსკოვის კინოფესტივალის უპირატესობა ის არის, რომ იგი მეტად მასობრივი და დემოკრატიულია.

განსაკუთრებით მიყვარს საბავშვო მოკლემეტრაჟიანი ფილმები. აღფრთოვანებული ვარ მიხეილ კობახიძის სურათ „ქორწილით“, რომლის ტრიუმფალური წარმატების მომსწრე გახლდით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ობერჰაუზენში.

VIII საერთაშორისო ფესტივალი გრძელდება. წინ კიდევ ბევრი საინტერესო შეხვედრებია.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ზღვა და ბიჭვინთის სპრთულები

ზღვისპირა კლიმატური კურორტი ბიჭვინთა შვიდ თვეზე მეტ ხანს ულტრათანამედროვე პანსიონატში დამსვენებლებსა და ტურისტებს კომფორტაბელური ნომრები, გემრიელი კერძები და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება ელით. ჰავის კარგი პირობები, შეხანიშნავი პლაჟი, არაჩვეულებრივ პირობებს ქმნის დასვენებისა და ფუნქციონალური ნერვული, სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობის, სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობისათვის.

ფ. კიპაკაძისა და ი. პოზრნელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტო-ქრონიკა).

ВОСЬМОЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ КИНОФЕСТИВАЛЬ 1973 МОСКВА

დავიცვათ ჩვენი სიმდიდრე — მწვანე ნარგავები

ეს მოხდა 30 აპრილს ვერეს ზეგისა და ცხენისწყლის შესართავთან. ტყეში სიმყუდროვე სუფევდა, ჯუთასენის მხოლოდ ჩიტების ჟრიამული ატკბობდა. გუგული ოძელაშვილი წვეულებრივად საქმიანობდა, ათვალიერებდა ნარგავებს, გამხმარ ხის ტოტებს ერთად აჭრიდა. ასე თანდათანობით ვერეს პირას ჩავიდა. უცებ მან ტყის სიღრმეში ბოლი შენიშნა. ტყისმცველი უმალ ცხენს მოახტა და შემთხვევის ადგილისაკენ გაქუსრა.

გზაში ოთხი ყმაწვილი შეეფეთა. იხინი მაღლიდან მორბოდნენ. გუგულა ბიჭებს შეეხმიანა — არიქათ, მიშველეთ, ტყეში ხანძარი გაჩენილაო. ბიჭებმა მის ყვირილს ყური არ ათხოვეს, შეშინებულნი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ და დახმარების ნაცვლად მოჰკურცხლეს...

ეიცხლის ალი უკვე ცას სწვდებოდა. იწვოდა ჩანჩარი ფიჭვები, ლაწალუში გაუდიოდა ახალგაზრდა ნარგავებს — იფნებსა და თელებს, ნუშებსა და ფშატებს. გუგულამ ხანძრის ჩაქრობა იწყო, მალე მასთან მიირბინეს ლისის სატყეოს მცველებმა და მუშებმა, სახანძრო რაზმიც სწრაფად გაჩნდა, ეიცხლის ალი კი სულ უფრო ვრცელდებოდა. მობილიზებულ იქნა მოსალისეთა რაზმი, ამუშავდა ბულდოზერები, ტრაქტორები. გზას უღობავდნენ ხანძრის ზონას და ასე, თავგამოდებული ბრძოლით ტყე დაწვას გადაურჩა. იგი მხოლოდ ორასეულად ჰექტარზე დაზიანდა, დაიღუპა ათი-ოთრმეტი წლის 420 ძირი ფიჭვი და ფოთლოვანი მცენარეები.

ვინ იყო ცეცხლის გამჩენი? ვინ აღმართა ხელი მწვანე ნარგავებზე, ასე ლამაზად რომ შემოსილ „წმინდა წყლის“ მიდამოები? რამდენი ადამიანის შრომა დაიხარჯა მათ დასარგავად და გასახარებლად. როგორ ბედიერ ადამიანი გაამწვანოს, ხიცოცხლე დაუბერუნოს გახრიკებულ ადგილებს, შეშინის ქალაქის გარშემო ანამრთელობის კერა. ტყის დაცვა ხომ ჩვენში სახელმწიფო მნიშვნელობის ხახასხო საქმეა, რომლის მიზანია გარემო პირობების გაჯანსაღება და შემომავლეთა ჯანმრთელობის განმტკიცება. ტყის დაცვას ემსახურება მრავალი ორგანიზაცია, მაგრამ ჩანს ჯერ კიდევ სათანადოდ არ ვუნერგავთ ადამიანებს მცენარეების სიყვარულს, არ ვასწავლით, რა დიდი სარგებლობა მოაქვს ტყეს ადამიანისათვის.

ასე რომ არ ყოფილიყო, ის ოთხი ყმაწვილი, რომელთაც ტყის მცველი ვ. ოძელაშვილი ტყეში ხანძრის გაჩენას აბრალებს, ამ საშინელ საქმეს არ ჩაიდენდნენ. ოძელაშვილმა მათში ერთი ნაგანიზი შეიენო — კირაკოსიანი. მას ის დაუდასტურა ორმა ბიჭმაც, რომლებიც ვერეს პირას თავიანთი ამხანაგების ტანსაცმელს ყარაულობდნენ მაშინ, როდესაც ისინი ხანძრის ჩაქრობაში ეხმარებოდნენ ტყის მცველებს. ბავშვებმა ოძელაშვილს უთხრეს — ჩვენ დავინახეთ ოთხი ბიჭი, რომლებიც ქვეითი მიდიოდნენ და მათ განვლილ ადგილას ხანძარი წმდებოდაო.

ტყის მცველმა ვ. ოძელაშვილმა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყის დაცვის სამმართველოს სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში დაწერილებით აღწერა „წმინდა წყლის“ მიდამოებში გაჩენილი ხანძრის ამბავი, სადაც ის დამნაშავეების შესახებ შემდეგს აღნიშნავს:

„ხანძრის გაჩენის საქმეში ეეჭვმტანილ ბავშვთა საქმე გადაეცა ორჯონიკიძის რაიონის ბავშვთა ოთახის ინსპექტორს კაჭახიძეს, შემდეგ საქმეს იძიებდა ორჯონიკიძის რაიონის მეორე ქვეგანყოფილების გამომძიებელი ჯიოევი, მან გვითხრა, რომ ორი ბავშვის მშობელმა განაცხადა ჯარიმის გადახდაზე და დანარჩენი ორი ბავშვის მშობელსაც დავახდევინებ ჯარიმას და მთელ თანხას ერთად შევიტან თქვენს ანგარიშზეო, ამის შემდეგ, დაახლოებით ორი კვირის მერე, ეს საქმე ისევ გადასცეს კაჭახიძეს, რომელმაც ვერ გამოიკვლია და ვერ დაადგინა დამნაშავენი“.

თბილისის სატყეო მეურნეობის დირექციამ, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყის დაცვის სამმართველომ მიმართვები გაუგზავნა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის შინაგან საქმეთა II ქვეგანყოფილების უფროსს — გამოეკვლიათ დამნაშავეები და სათანადოდ დაესაჯათ ისინი.

გავიდა ხანი. სამმართველოში მილიციიდან ასეთი პასუხი მიიღეს: ჩვენ გამოვძახეთ ეეჭვმიტანილი მოზარდები კირაკოსიანი და სიგუა, რომლებმაც განაცხადეს ტყეში ეესკურსიაზე ვიყავითო. სხვა ბავშვებმაც უარი თქვეს — არ ვიცით, ვისი მიზეზით გაჩნდა ტყეში ხანძარიო. ამის გამო ხანძრის გაჩენის მიზეზი ვერ დავადგინეთო.

დიახ, დამნაშავეების დადგენა არ მოხერხდა, მაგრამ განა ეს ერთეული შემთხვევაა. რამდენჯერ მიგვიღია რედაქციაში წერილები ტყეში გაჩენილი ხანძრისა და მასთან მებრძოლ მამაც ადამიანთა შესახებ. მარტო გასულ წელს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობაში ადგილი ჰქონდა ტყეში ხანძრის გაჩენის ექვს შემთხვევას, რომელთაგან 12 ჰექტარი ტყეთ და ტყეკულტურებთ დაფარული ფართობი, ხარალმა შეადგინა 21 ათასი მანეთი.

ყველა ეს ხანძრები გამოიწვია ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევამ, ტყეში მოქალაქეთა — დამსვენებელთა გაუფრთხილებელმა ქცევამ, მათმა დაუდევრობამ მოქმედებამ, ნაუქრობელი კოცონების დატოვებამ, ჩაუქრობელი პაპიროსის ნამწვავის და ასანთის გადაგდებამ, რაც იმის შედეგია, რომ მოსახლეობაში ჯერ კიდევ სათანადო ხიმაღლეზე არა დგას ტყეების ხანძრისაგან დაცვის საგაფრთხილო-მახობრივი მუშაობა, ყველანაირ არ არის გამაფრთხილებელი ნიშნები, ტრანსპარანტები და სხვ.

მაგრამ განა მეტყველებს, ტყის მცველს შეუძლია უყარაულოს ყველა ადამიანს, რომელიც დასასვენებლად მიდის ტყეში და ანთებს კოცონს? განა ადამიანს თავად არ უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ გაუფრთხილდეს ტყეს!

ასეთ ზაფხულია, ვინ მოსთვლის რამდენი ტურისტი და ექსკურსანტი ჩამოვა ჩვენს რესპუბლიკაში ორგანიზებული თუ არაორგანიზებული წესით. ისინი მოგზაურობენ საკუთარი ტრანსპორტით, ჩერდებიან დასასვენებლად უმეტესად ტყიან ადგილებში, ანთებენ კოცონს და ხშირად მათი გაუფრთხილებლობით ჩნდება ხანძარი. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ასეთ მოგზაურებს, გზებზე მეტი რაოდენობით დაიდგას ხანძარსაწინააღმდეგო — გამაფრთხილებელი ტრანსპარანტები.

დასვენების დღეებში ბევრი ჩვენი საწარმო-დაწესებულების მუშაკები ექსკურსიებზე მიდიან ბუნების წიაღში დასასვენებლად, ტყეებს მიაშურებენ პიონერთა ბანაკების მოსწავლეები, ყველა უნდა ფრთხილობდეს არ დაადგილოს ანთებული ასანთი იქ, სადაც ეს საშიშია, არ დატოვოს ჩაუქრობელი კოცონი.

გავუფრთხილდეთ ჩვენს სიმდიდრეს — მწვანე ნარგავებს, ჩვენს მეგობრებს!

ლ. ხუბულური.

ხანძარი ტყეში



ახალი პრეპარატები

ბათუმი. (საკ. კორ.). შორს გაითქვა სახელი ბათუმის კოფეინის ქარხნის პროდუქციამ. იგი კავშირში ერთადერთი ნაწარმოა, რომელიც ამზადებს ნატურალურ კოფეინსა და სხვა ძვირფას პრეპარატებს. აქაური პროდუქცია იგზავნება როგორც ჩვენი ქვეყნის ხხვადასხვა ქალაქებში, ასევე უცხოეთში.

ნაწარმოში ყოველწლიურად ინერგება სიახლე. გასული წლის ბოლოს მომზადდა ტექნოლოგიური დოკუმენტაცია გლუკოზის ამების დასამზადებლად. გარდა ამისა მახობრივად შეუდგნენ ვალერიანის ექსტრაქტის გამოშვებას.

მიეძღვნა ქოპერნიკის ხსოვნას

ადიგენი. (საკ. კორ.). ბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი პოლონელი ასტრონომის ნ. კოპერნიკის დაბადების 500 წლისთავს.

„ნიკოლოზ კოპერნიკის შემოქმედება და სამყაროს შესახებ მეცნიერების განვითარება“, ამ საკითხზე მოხსენება წაიკითხა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ხარაძემ.

მოხსენებით „ახალი ცნობები მთვარისა და პლანეტების შესახებ“ გამოვიდა ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობაში დოცენტი ვ. ჯავახიშვილი. ობსერვატორიის მეცნიერ-თანამშრომლის გ. გიორგობიანის მოხსენების თემა იყო „საქართველოში კოპერნიკის მოძღვრების გავრცელების დროის დასაზუსტებლად“.

შემთხვევა

დაწვას გაძარცვეს

თელავი. (საკ. კორ.). ღამით, როცა ქალაქს ეძინა, ნაფარეულის ქუჩაზე მდებარე № 2 ხახლს ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარი სწრაფად ვრცელდებოდა და განადგურებით ემუქრებოდა არა მარტო ამ სახლს, არამედ ახლო მდებარე შენობებსა და მაღაზიასაც.

სახლში ყველას ეძინა. ხანძარი პირველმა შენიშნა მეზობელმა, ბეტონის ქარხნის მუშამ დ. სარაჯიშვილმა. იგი არ დაიბნა, სახლში მეხოვრები მრელაშვილები გააღვიძა და ხასწრაფოდ სახანძრო ნაწილს გამოუძახა, ხოლო შემდეგ თვითონვე შეუდგა ხანძრის ჩაქრობას.

მეხანძრეები სწრაფად გამოცხადდნენ ალმოდებულ ხახლთან და ჩააქრეს ხანძარი.

საგასტროლო ზაფხული

როსტანის სპექტაკლ „სირანო დე ბერჟერაკით“—დაიწყო საგასტროლო გამოსვლები ქუთაისში რესპუბლიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა თეატრის — ქალაქ **რუსთავის თეატრის კოლექტივმა.** ამ სპექტაკლით დაიწყო ხუთი წლის წინათ რუსთაველის თეატრის ისტორია. და დღესაც თავისი თანამედროვე ჟღერადობით, ემოციური ზემოქმედებით პიესა რეპერტუარის მშვენებად რჩება. საგასტროლო აფიშაშია სპექტაკლები — ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, ედუარდო დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“ და ვ. მაიაკოვსკის „ბანი“, რუსთაველთა გასტროლები ემთხვევა ღირსშესანიშნავ თარიღს—ვ. მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავს. 14 ივლისს სტუმრები და საიუბილეო ზეიმის მონაწილენი ქუთაისში დაესწრნენ სპექტაკლ „ბანის“. რუსთაველთა გასტროლები გაგრძელდება ბათუმში, სადაც მანამდე გამოვლენ **მარჯანიშვილის სახელობის** ა.-ა. **დემეონური თეატრის** მსახიობები.

ბათუმისა და ქობულეთის მაყურებლებს ექნებათ შესაძლებლობა ორი კვირის განმავლობაში გაეცნონ თეატრის საუკეთესო სპექტაკლებს — ეს არის გუცკოვის „ურიელ აკოსტა“. „ძველი ვოდევილები“ და გოგოლის „ქორწინება“.

აგვისტოში სოხუმის ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის სცენა დაეთმობა **გრიბოედოვის სახელობის თეატრის** მსახიობებს. ამ დროს **სოხუმის თეატრის აფხაზური** დასი (მთავარი რეჟისორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ეშბა) მოსკოვის სტუმარი იქნება. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები ნახავენ სპექტაკლებს — ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა!“, შილერის „დონ-კარლოსი“, ლ. უკრაინკის „ტყის სიმღერა“ და თეატრის სხვა დადგმებს. **ქართული დასი** კი თავის ხელოვნებას აჩვენებს ჭიათურის, ზესტაფონის, ტყიბულის, სამტრედიის მაყურებლებს.

დასავლეთ საქართველოს ქალაქებში გამართავენ სპექტაკლებს **ბათუმის** ი. ჭავჭავაძის სახელობის თეატრისა და **მახარაძის** ა. წულუკიძის სახელობის **თეატრის** კოლექტივები.

(საქინფორმი).

ᲣᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს, 17 ივლისს **თბილისში** მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი ხითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მცირე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 25-29, მთაში 16-20 გრადუსი ხითბო.

დასავლეთ საქართველოში იქნება მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 26-27, მთაში — 19-23 გრადუსი ხითბო.

პირველნი...

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). შორს გაითქვა სახელი ბათუმის კოფეინის ქარხნის პროდუქციამ. იგი კავშირში ერთადერთი ნაწარმოა, რომელიც ამზადებს ნატურალურ კოფეინსა და სხვა ძვირფას პრეპარატებს. აქაური პროდუქცია იგზავნება როგორც ჩვენი ქვეყნის ხხვადასხვა ქალაქებში, ასევე უცხოეთში.

ნაწარმოში ყოველწლიურად ინერგება სიახლე. გასული წლის ბოლოს მომზადდა ტექნოლოგიური დოკუმენტაცია გლუკოზის ამების დასამზადებლად. გარდა ამისა მახობრივად შეუდგნენ ვალერიანის ექსტრაქტის გამოშვებას.

მეეჭვეების პრიზზე

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ საბჭოთა გოლიათის, თავისუფალ ჭიდაობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის პრიზზე პირველად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ათივე წონითი კატეგორიის სპორტსმენები — ბულგარეთიდან, ყირიმიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ფინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სსრ კავშირიდან.

თავის წონითს კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ემზარ კიკაბიძემ და პირველი ადგილი მოიპოვა.

ᲫᲘᲣ-ᲓᲝ

პირველნი...

Ა. ᲒᲣᲠᲩᲘᲡ „სპარტაკის“ სპორტის ხასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერეს ჭიდუკ ძიუდოისტთა პირველი საკავშირო ჩემპიონატი.

70 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა დ. ხაბულიანმა. ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა დაიმახსოვრეს ა. აგრეთვე ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლები.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲛᲔᲔᲠᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ საბჭოთა გოლიათის, თავისუფალ ჭიდაობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის პრიზზე პირველად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ათივე წონითი კატეგორიის სპორტსმენები — ბულგარეთიდან, ყირიმიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ფინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სსრ კავშირიდან.

თავის წონითს კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ემზარ კიკაბიძემ და პირველი ადგილი მოიპოვა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ

თუ მოინდომებენ...

„**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**“ (თბილისი) — „**ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ**“ (ალმა-ათა) — **3:2.**

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

„**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**“ — „ვოგაა, ძოფუაშვილი, კანთელაძე, ბურცალაძე, ხინჩაგაშვილი (ელეიძე), მჭედლიშვილი, მ. მაჩაიძე, ახათანი, ბეცაევი, გ. ნოდია, წერეთელი (ტარალიძე).

„**ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ**“ — ორლაბაევი, კრუგლიხინი, ეუეკოვი, ბაიშაკოვი, ასლამაევი, ოსიანინი, კატკოვი (მიხაილინი), ხიომინი, ოინკინი, როეკოვი, პიუნოვსკი.

თბილისს დინამოელებმა გათამაშების ეკვატორი მოკრძალებული მაჩვენებლებით გადალახეს — მე-10 ადგილით „დაკმაყოფილდნენ“. დაიწყო მეორე წრე და გუნდი ვალდებული იყვნ დაიბრუნოს ის პოზიციები, რომლებიც მას ეჭირა საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში.

თბილისის „დინამოსა“ და ალმა-ათის „კირარტის“ მატჩში, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ორ ადგილზე ტარდებოდა, ორივე გუნდმა ერთ-ერთ ეტაპზე ლიდერობა ითამაშა. ალმა-ათელებმა ბურთი ოთხჯერ ბადეში ჩააგდეს, ოთხჯერ ბადეში ჩააგდეს. ბურთი ბადეში ექვსჯერ ჩააგდეს, ექვსჯერ ბადეში ჩააგდეს. ბურთი ბადეში ... ...